

სტუმრად ჩვენს ეთერში: ნინო გუჯარაიძე

radiotavisupleba.ge/a/interview-with-nino-gujaraidze/29053475.html

დილის
საუბრები

თებერვალი
21, 2018

გაზიარება

21 თებერვალს რადიო თავისუფლების "დილის საუბრების" სტუმარი იყო ნინო გუჯარაიძე, არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივის" აღმასრულებელი დირექტორი. მან ილაპარაკა გასული წლის ბოლოს განხორციელებულ მთავრობის სტრუქტურული რეორგანიზაციის ზოგიერთ იმ შედეგზე, რაც გარემოს დაცვის პოლიტიკის განხორციელებას უკავშირდება. რეორგანიზაციის ერთ-ერთი შედეგი იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების ერთ სამინისტროდ ქცევა. არასამთავრობო ორგანიზაცია "მწვანე ალტერნატივა" იტოვებს იმედს, რომ პრობლემური ვითარების შექმნა გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში ამ რეორგანიზაციის ბრალია და არა, მაგალითად, კორუფციული გარიგებების შედეგი. კერძოდ, ნინო გუჯარაიძე განმარტავს, რომ 2018 წლის 1 იანვრიდან "გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" ამოქმედების მიუხედავად, სამინისტრო ბევრ შემთხვევაში მაინც სარგებლობს ძველი - "გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" კანონით, რომელიც გადაწყვეტილების მიღების უფრო დახურულ პროცედურებს

ითვალისწინებს. ახალი კანონით დგინდება გადაწყვეტილების მიღების უკეთესი წესი, რომლითაც განისაზღვრა მოქალაქეების მონაწილეობა გარემოზე ზემოქმედების შეფასებისა და ნებართვაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარდა ამისა გაზრდილია შეფასებისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებიც. სამინისტროსთვის გაგზავნილ წერილში "მწვანე ალტერნატივა" დეტალურად ხსნის - რატომ თვლის პრობლემად 54 დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას ძველი კანონით. "დილის საუბრების" ეთერში ნინო გუჯარაიძე პრობლემად ასახელებს იმასაც, რომ ბოლო ხანს გაჩნდა იდეა ნებართვის გამცემ ორგანოდ გარემოს ეროვნული სააგენტოს განსაზღვრის შესახებ.



Embed share
ნინო გუჯარაიძე "დილის
საუბრებში"

by [რადიო თავისუფლება](#)

Embed share

The code has been copied to your
clipboard.
